

ქ.თბილისი

2017 წლის 29 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 29 აპრილს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, ლაშა თავართქილაძე, სულხან სულხანიშვილი, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, კაკო კერესელიძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ. საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა და მატჩის მეთვალყურის მ. გოგიჩაიშვილის ოქმი, მოხსენებითი ბარათი და მთავარი მსაჯის ლ. ლაშხიას მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამა წლის 23 აპრილს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის კალენდარულ მატჩზე თბ „ლოკომოტივი“-სა და თბ „ლელო-2“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე თაზო გუჩუა მსაჯმა მოედნიდან წითელი ბარათით გააძევა არაეთიკური და არასპორტული საქციელის გამო.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.1, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 2.1 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „ლოკომოტივი“-ს მორაგბე თ. გუჩუა დისკვალიფიცირებული იქნას 3(სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარით.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.1 პუნქტი და კლუბ თბ „ლოკომოტივის“, ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/